საპარლამენტო თანამდებობების განაწილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

1

პარლამენტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საპარლამენტო თანამდებობების განაწილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის

თბილისი
2021

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის, შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

კვლევის ავტორი: გიორგი ალავერდაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა 4

პირველი ვიცე-სპიკერი 6

კომიტეტის თავმჯდომარე 8

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე 10

შესავალი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს მსოფლიოს 15 სახელმწიფო სისტემის შესწავლას და მათ საფუძველზე ზოგადი ტენდენციების გამოკვეთას შემდეგ 4 საკითხთან დაკავშირებით: პარლამენტისა და კომიტეტის თავმჯდომარეების, ასევე მათი მოადგილეების არჩევა და პოლიტიკური კუთვნილება.

კომპარატივისტულ ნაწილში შესწავლილია, ერთი მხრივ, როგორც ვესტმინსტერული, ისე კონტინენტური საპარლამენტო სისტემები, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც საპრეზიდენტო, ისე ნახევრად-საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემები. გამოყენებულია ორივე - უნიკამერალური და ბიკამერალური საკანონმდებლო ორგანოების გამოცდილება. საბოლოოდ, ქვეყნების სია ასე გამოიყურება: საპრეზიდენტო მმართველობის მოდელიდან - აშშ; ნახევრად-საპრეზიდენტოდან - ლიეტუვა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია; საპარლამენტო ვესტმინსტერული სისტემიდან - ინგლისი; სკანდინავიურიდან - შვედეთი; ხოლო კონტინენტურიდან - საბერძნეთი, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი და იტალია.

პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, პარლამენტის თავმჯდომარის პოლიტიკური კუთვნილების 2 განსხვავებული მოდელი გამოიკვეთა. **პირველის მიხედვით,** თავმჯდომარედ უმრავლესობის წევრი აირჩევა. ეს წესი დამკვიდრებულია საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან აშშ-ში,[1] ნახევრად-საპრეზიდენტოდან - ლიეტუვაში,[2] საფრანგეთში,[3] სლოვაკეთსა[4] და სლოვენიაში,[5] საპარლამენტო მმართველობის მქონე სკანდინავიური

[1] Nancy Pelosi, სპიკერის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.speaker.gov/, განახლებულია: 05.02.21.

[2] Viktorija Čmilytė-Nielsen, სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.lrs.lt/sip/portal.show?p_r=35302&p_k=2, განახლებულია: 05.02.21.

[3] La Présidence de l'Assemblée nationale, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://presidence.assemblee-nationale.fr/president/biographie, განახლებულია: 05.02.21.

[4] Speaker, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.nrsr.sk/web/?sid=predseda/informacie, განახლებულია: 05.02.21.

[5] The President, სლოვენიის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/1pcwevjw, განახლებულია: 02.02.21.

სისტემიდან - შვედეთში,[6] ხოლო კონტინენტურიდან - ავსტრიაში,[7] გერმანიაში,[8] ესპანეთში,[9] ესტონეთში,[10] ლატვიაში,[11] საბერძნეთსა[12] და უნგრეთში.[13] **მეორე მოდელის მიხედვით,** პარლამენტის თავმჯდომარე არჩევისთანავე ტოვებს პარტიას და პოსტზე ყოფნისას იგი მიუკერძოებელია. ასეთი პრაქტიკა დანერგილია საპარლამენტო ვესტმინსტერული სისტემიდან - ინგლისში,[14] ხოლო კონტინენტურიდან - იტალიაში.[15]

შესწავლილ სახელმწიფოთაგან 13-ში თავმჯდომარედ უმრავლესობის წევრს ირჩევენ, 2-ში კი ის უპარტიოა.

---

[6] The tasks of the Speaker, რიკსდაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.riksdagen.se/en/how-the-riksdag-works/the-speaker/the-tasks-of-the-speaker/, განახლებულია: 02.02.21.

[7] The Presidents and the President's Conference, ავსტრიის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.parlament.gv.at/ENGL/PERK/NRBRBV/NR/PRAESNR/index.shtml, განახლებულია: 02.02.21.

[8] Election of the Presidium, გერმანიის ბუნდესტაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.bundestag.de/en/parliament/presidium/election, განახლებულია: 02.02.21.

[9] Batet Lamaña, Meritxell, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/eqgpfsoj, განახლებულია: 05.02.21.

[10] ესტონეთში, ისტორიულად, უმრავლესობის წევრი იყო რიიგიკოგუს თავმჯდომარე, თუმცა მიმდინარე მოწვევაში იგი ოპოზიციას წარმოადგენს. History of the Riigikogu, რიიგიკოგუს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/uwsftkrk, განახლებულია: 15.03.21, აგრეთვე იხ. Henn Põlluaas, რიიგიკოგუს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4rrc5azc, განახლებულია: 15.03.21.

[11] ლატვიაში სხვადასხვა მოწვევის პირობებში სპიკერი ზოგჯერ უმრავლესობას, ზოგჯერ კი ოპოზიციას წარმოადგენს. Presidium, ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y33cqt6l, განახლებულია: 15.03.21. ამჟამად იგი უმრავლესობის წევრია. Speaker Ināra Mūrniece, ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.saeima.lv/en/about-saeima/work-of-the-saeima/speaker, განახლებულია: 15.03.21.

[12] The President of the Hellenic Parliament, საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.hellenicparliament.gr/en/Organosi-kai-Leitourgia/Proedreio/Proedros/, განახლებულია: 01.03.21.

[13] უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.parlament.hu/hu/nyitolap, განახლებულია: 05.02.21.

[14] Office and Role of Speaker, თემთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/42ckx6p6, განახლებულია: 05.02.21.

[15] The President, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://en.camera.it/4?scheda_informazioni=4, განახლებულია: 01.03.21.

პირველი ვიცე-სპიკერი

შესწავლილ სახელმწიფოთა პრაქტიკიდან 5 ტენდენცია გამოიკვეთა. **პირველი,** დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოპოზიციიდან ინიშნება. ასეთი მიდგომაა საპარლამენტო მმართველობის, კონტინენტური სისტემის მქონე ავსტრიაში.[16] **მეორე მიდგომის თანახმად,** ეს პორტფელი უმრავლესობის წევრს უკავია. ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე ქვეყნებიდან იგი გამოიყენება ლიეტუვასა[17] და სლოვაკეთში,[18] საპარლამენტო მმართველობის სკანდინავიური ქვეტიპის მქონე ქვეყნებიდან - შვედეთში,[19] ხოლო კონტინენტურიდან - ესპანეთში,[20] საბერძნეთსა[21] და ლატვიაში.[22] **მესამე ტენდენცია აჩვენებს, რომ** პირველი მოადგილის პოსტს უმრავლესობა იკავებს რეგლამენტით დადგენილი წესით. ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე ქვეყნებიდან იგი მოქმედებს სლოვენიაში,[23] ხოლო საპარლამენტო მმართველობის მქონე კონტინენტური სისტემიდან - უნგრეთში.[24] ზოგ სახელმწიფოში თავმჯდომარეს მოადგილე არ ჰყავს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მის შემცვლელს თავად ნიშ-

---

[16] Who is who, ავსტრიის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y29q8z32, განახლებულია: 28.01.21.

[17] Board of the Seimas, ლიეტუვის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.lrs.lt/sip/portal.show?p_r=35300&p_k=2, განახლებულია: 04.03.21.

[18] Deputy Speaker, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.nrsr.sk/web/Default.aspx?sid=podpredseda/informacie&PoslanecID=847, განახლებულია: 04.03.21.

[19] Deputy Speakers, შვედეთის რიკსდაგის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.riksdagen.se/en/how-the-riksdag-works/the-speaker/deputy-speakers/, განახლებულია: 04.03.21.

[20] Composición Actual de la Mesa del Congreso, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.congreso.es/web/guest/mesa, განახლებულია: 04.03.21.

[21] The vice-presidents, საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ycwn2ybf, განახლებულია: 28.01.21.

[22] Presidium, ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y33cqt6l, განახლებულია: 28.01.21.

[23] Rules of Procedure of the National Assembly of Slovenia, art. 20, cl. 1. სლოვენიის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y6wk3ut8, განახლებულია: 12.03.21.

[24] Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary, sec. 3, subsection 1. უნგრეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ybhybc48, განახლებულია: 12.03.21.

ნავს. ეს წესი მოქმედებს საპრეზიდენტო მმართველობის მოდელიდან აშშ-ში.[25] **მეოთხე ტიპის მიხედვით,** ადგილები რეგლამენტით ნაწილდება ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი პირველი მოადგილე სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკს წარმოადგენენ. ასეთი პრაქტიკაა საპარლამენტო მმართველობის, ვესტმინსტერული ტიპის ინგლისსა[26] და კონტინენტური ტიპის ესტონეთში.[27] **მეხუთე მიდგომის თანახმად,** სპიკერატში განსაზღვრული არ არის მოადგილეების რიგითობა. ამიტომ, ყველა მათგანი თანაბარ სიბრტყეზეა. თუმცა, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მას ანაცვლებს სიდიდით მეორე ფრაქციიდან დანიშნული მოადგილე. საპარლამენტო მმართველობის მქონე, კონტინენტური სისტემის სახელმწიფოთაგან ეს წესი მოქმედებს გერმანიაში.[28] ამჟამად ასეთი მოადგილე უმრავლესობის წევრია.[29] მსგავსი მოწყობის პირობებში გამოიკვეთა კიდევ ერთი, **მეექვსე ტენდენცია,** რომლის მიხედვითაც, რეგლამენტი არ აკონკრეტებს, რომელი მოადგილე დაიკავებს სპიკერის პოსტს. ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან ასეთი მოწესრიგებაა საფრანგეთში,[30] ხოლო საპარლამენტო მმართველობის მქონე კონტინენტური სისტემიდან - იტალიაში.[31]

შესწავლილ სახელმწიფოთაგან პირველ ვიცე-სპიკერად ოპოზიციის წევრი ინიშნება 1 მათგანში, ხოლო უმრავლესობის წარმომა-

---

[25] The Rules of the House of Representatives for the 116th Congress, RULE I, clause 8, Speaker pro tempore, წარმომადგენელთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y67cnwsp, განახლებულია: 28.01.21.

[26] ინგლისში თავმჯდომარე, მართალია, არის უპარტიო, თუმცა პირველი მოადგილე არ უნდა იყოს იმავე პოლიტიკური ჯგუფიდან, რომლიდანაც თავმჯდომარე აირჩა. Deputy Speakers elected, თემთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yabao4cp, განახლებულია: 28.01.21.

[27] Board of the Riigikogu, Riigikogu, რიიგიკოგუს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ycxs3876, განახლებულია: 28.01.21.

[28] Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, rule 7, sec. 6, გერმანიის ბუნდესტაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.btg-bestellservice.de/pdf/80060000.pdf, განახლებულია: 12.03.21.

[29] The Presidium of German Bundestag, გერმანიის ბუნდესტაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/6ys5jkn4, განახლებულია: 12.03.21.

[30] Rules of Procedure of National Assembly of France, art. 11, sec. 1. საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y623ezxp, განახლებულია: 12.03.21.

[31] Rules of Procedure Chamber of Deputies of Italy, rule 9, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3jm82pqn, განახლებულია: 15.03.21.

დგენელი - 7-ში. რეგლამენტმა ეს თანამდებობა უმრავლესობას და ოპოზიციას დაუთმო 2-2 ქვეყანაში. 3-ში მოადგილეებს შორის რიგითობა ოფიციალურად განსაზღვრული არ არის. თუმცა, აქედან 1-ში უპირატესობა ენიჭება სიდიდით მეორე ფრაქციიდან დანიშნულ მოადგილეს, 2-ში კი თავმჯდომარის ჩანაცვლების რიგითობას რეგლამენტი არ ადგენს.

კომიტეტის თავმჯდომარე

შესწავლილი პრაქტიკიდან 4 ძირითადი მიდგომა გამოიკვეთა. **პირველის მიხედვით,** დამკვიდრებული ტრადიციით, კომიტეტის თავმჯდომარე ხდება უმრავლესობის წევრი. საპრეზიდენტო რესპუბლიკებიდან ეს მოდელი გამოიყენება აშშ-ში,[32] ხოლო საპარლამენტო მმართველობის, კონტინენტური სისტემის მქონეთაგან - საბერძნეთში.[33] **მეორე მიდგომა** გულისხმობს თანამდებობების განაწილებას ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. ამ გზით თავმჯდომარეები აირჩევიან ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან ლიეტუვასა[34] და საფრანგეთში,[35] საპარლამენტო მმართველობის მქონე, ვესტმინსტერული სისტემიდან - ინგლისში,[36] კონტინენტურიდან კი - უნგრეთში.[37] **მესამე გამოკვეთილი ტენდენციაა** ოპოზიციისთვის კვოტების დათმობის ტრადიცია. ამ წესს ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან იყენებს სლოვაკეთი,[38] საპარლამე-

---

[32] House Committees, წარმომადგენელთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/1rcuj048, განახლებულია: 04.02.21.

[33] Parliamentary Committees, საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.hellenicparliament.gr/en/Koinovouleftikes-Epitropes/Katigories, განახლებულია: 04.02.21.

[34] Seimas of the Republic of Lithuania Statute, 2020, art. 46, sec. 3. სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yxl7chsf, განახლებულია: 04.02.21.

[35] Rules of Procedure of National Assembly of France, art. 39, sec. 2.

[36] Election of House of Commons Select Committee Chairs, თემთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2ybshkmz, განახლებულია: 04.02.21.

[37] About Parliamentary Committees, უნგრეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4yh68cea, განახლებულია: 11.03.21.

[38] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: ფუნქციათა შეუთავსებლობის, საგარეო საქმეთა, ეროვნული უსაფრთხოების მაკონტროლებელ, დაზვერვის სამსახურის მაკონტროლებელ, ეროვნული უსაფრთხოების ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის კომიტეტებს. Parliamentary Committees, სლოვაკეთის ერო-

ნტო, სკანდინავიური სისტემის მქონეთაგან - შვედეთი,[39] ხოლო კონტინენტურიდან - ესტონეთი,[40] გერმანია,[41] ლატვია,[42] იტალია,[43] ესპანეთი[44] და ავსტრია.[45] **მეოთხე მიდგომა კი** გულისხმობს რეგლამენტით დადგენილი კვოტირების მეთოდს და ის სლოვენიაში მოქმედებს.[46]

შესწავლილი ქვეყნების გამოცდილებით დადგინდა, რომ კომიტეტის თავმჯდომარე, არსებული პრაქტიკით, სრულად უმრავლესობის რიგებიდან აირჩევა 2 მათგანში. ოპოზიციას გარკვეული კვოტე-

---

ვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.nrsr.sk/web/?sid=vybory/zoznam, განახლებულია: 04.02.21.

[39] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: თავდაცვის, საკონსტიტუციო საკითხთა, ბიზნესის, სოციალური დაზღვევის, სოციალურ საკითხთა და ტრანსპორტის კომიტეტებს. Utskotten & EU-nämnden, შვედეთის რიკსდაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.riksdagen.se/sv/utskotten-eu-namnden/, განახლებულია: 11.03.21.

[40] ოპოზიციონერი თავმჯდომარე მხოლოდ საფინანსო კომიტეტს ჰყავს. Committees, რიგიკოგუს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.riigikogu.ee/en/parliament-of-estonia/committees-riigikogu/, განახლებულია: 04.02.21.

[41] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: ბიუჯეტის; ციფრულ საკითხთა; გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების; ეკონომიკისა და ენერგიის; საოჯახო საკითხთა, ვეტერანთა, ქალებისა და ახალგაზრდების; საფინანსო საკითხთა კომიტეტებს. Committees, ბუნდესტაგის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.bundestag.de/en/committees, განახლებულია: 04.02.21.

[42] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: საჯარო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტებს. Committees, ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/294peteg, განახლებულია: 04.02.21.

[43] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: საფინანსო, ასევე ტრანსპორტის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების კომიტეტებს. Commissioni, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.camera.it/leg18/48, განახლებულია: 05.02.21.

[44] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: თავდაცვის; საცხოვრისის; ეკონომიკისა და ტრანსფორმაციის; ჯანმრთელობის კომიტეტებს. Comisiones, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.congreso.es/web/guest/comisiones, განახლებულია: 05.02.21.

[45] ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს: შრომის და სოციალურ საკითხთა; საგარეო საქმეთა; განსახლების; კვლევის, ინოვაციის და დიგიტალიზაციის; ჯანმრთელობის; თანასწორობის; იმუნიტეტის; მომხმარებელთა უფლების დაცვის; ეროვნული თავდაცვის; ადამიანის უფლებების; პეტიციისა და მოქალაქეთა ინიციატივის; აუდიტის სასამართლოს; ტურიზმის, კონსტიტუციური საკითხების; ტრანსპორტის; მეცნიერების კომიტეტებს. Ausschüsse, ავსტრიის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.parlament.gv.at/PAKT/AUS/, განახლებულია: 05.02.21.

[46] Rules of Procedure of the National Assembly of Slovenia, art. 33, cl. 2.

ბი დათმობილი აქვს 8 სახელმწიფოში, ხოლო 1-ში მისთვის კვოტა რეგლამენტითაა განსაზღვრული. კანონით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი გამოიყენება 4 მათგანში.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკიდან კომიტეტის პირველი თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნასთან დაკავშირებით 6 ზოგადი ტენდენცია იკვეთება. **პირველი მიდგომის მიხედვით,** რეგლამენტი არ აკონკრეტებს, რომელ პოლიტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება მოადგილე, თუმცა ზოგიერთ კომიტეტში მას, ტრადიციულად, ოპოზიციიდან ირჩევენ. ასეთ ქვეყნებს ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოთაგან მიეკუთვნება ლიეტუვა,[47] საპარლამენტო მმართველობის მქონე, სკანდინავიური სისტემიდან - შვედეთი,[48] კონტინენტურიდან კი - ესტონეთი,[49] ესპანეთი,[50] ლატვია[51] და გერმანია.[52] **მეორე მიდგომის მიხედვით**, მოადგილეები უმრავლესობის წევრები არიან. ასეთი მოდელი მუშაობს

[47] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს: მომავლის, აუდიტის, ბიუჯეტისა და ფინანსების, კულტურის, ეკონომიკის, განათლებისა და მეცნიერების, ადამიანის უფლებების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის, სოციალურ საკითხთა და შრომის, სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, იურიდიულ საკითხთა და სახელმწიფო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ საკითხთა კომიტეტებს. Committees and Commissions, ლიეტუვის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.lrs.lt/sip/portal.show?p_r=35733&p_k=2, განახლებულია: 11.03.21.

[48] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს შემდეგ კომიტეტებს: თავდაცვის, საკონსტიტუციო საკითხთა, ინდუსტრიის, სოციალური უსაფრთხოების, სოციალურ საქმეთა და ტრანსპორტის. Utskotten & EU-nämnden, შვედეთის რიკსდაგის ვებგვერდი.

[49] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს: ევროპის კავშირის, საკონსტიტუციო და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს. Committees, რიიგიკოგუს ოფიციალური ვებგვერდი.

[50] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს შინაგან საქმეთა კომიტეტს. Comisiones, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ვებგვერდი.

[51] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს: ადამიანის უფლებათა და საჯარო საქმეთა, აგრეთვე მანდატის, ეთიკისა და დათანხმების კომიტეტებს. Committees, ლატვიის სეიმის ვებგვერდი.

[52] ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს: ეკონომიკის, საოჯახო საქმეთა, ფინანსების, სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებების, ტრანსპორტისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტებს. Committees, ბუნდესტაგის ოფიციალური ვებგვერდი.

საბერძნეთში.[53] **მესამე გამოკვეთილი ტენდენციაა** რეგლამენტით უმრავლესობის წევრის განსაზღვრა პირველ მოადგილედ. ამგვარი პრაქტიკა დამკვიდრებულია საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან აშშ-ში,[54] ხოლო ნახევრად-საპრეზიდენტოდან - სლოვაკეთში.[55] **მეოთხე მიდგომა** გამოიხატება რეგლამენტით კვოტირების დადგენაში და ის ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სლოვენიაში გამოიყენება.[56] **მეხუთე ტიპის მიხედვით,** კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს შორის არ არის გამოყოფილი პირველი მოადგილე. ის არსებობს ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან საფრანგეთში,[57] ხოლო საპარლამენტო, კონტინენტური ქვეტიპის ქვეყნებიდან - ავსტრიაში,[58] იტალიასა[59] და უნგრეთში.[60] გამოიკვეთა **მეექვსე მიდგომაც,** როდესაც მოადგილის თანამდებობა განსაზღვრული არ არის. გაერთიანებული სამეფოს (ორივე პალატა)[61] საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებს მოადგილეები არ ჰყავთ.

შესწავლილი მაგალითები აჩვენებს, რომ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე ოპოზიციას უთმობენ კვოტებს 6 სახელმწიფოში, ხოლო 1-ში ის სრულად უმრავლესობიდან კომპლექტდება. რეგლამენტით, ამ თანამდებობას უმრავლესობის წარმომადგენლები იკავებენ 2 ქვეყანაში, ხოლო კვოტირება დადგენილია 1-ში. მოადგილეებს შორის რიგითობა განუსაზღვრელია 4 სახელმწიფოში, 1-ში კი თავმჯდომარეს მოადგილეები არ ჰყავს.

---

[53] Parliamentary Committees, საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი.

[54] The Rules of the House of Representatives for the 116th Congress, RULE XI, clause 1, Temporary absence of chair.

[55] Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure as Amended, art. 49, sec. 4 სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/wtb66nm7, განახლებულია: 15.03.21.

[56] Rules of Procedure of the National Assembly of Slovenia, art. 33, cl. 2.

[57] Rules of procedure of the National Assembly of France, art. 39, sec. 6.

[58] Federal Law on the Rules of Procedure of the National Council, para. 34, sec. 2. ავსტრიის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4stzjnuc, განახლებულია: 15.03.21.

[59] Rules of Procedure Chamber of Deputies of Italy, rule 21, sec. 2.

[60] Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary, sec. 20.

[61] თემთა პალატის კომიტეტები, გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y2rzyjr6, განახლებულია: 28.01.21; ლორდთა პალატის სპეციალური კომიტეტები, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ybaq4724, განახლებულია: 28.01.21.